პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი პირველი.
ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო.

20 ივლისი
ოთხშაბათი
1918 რკინის გზელთა გაფიცვა უკრაინაში. კიევის მთავარ სარკინიგზო სახელოსნოს და პროფკავშირების დახურვა.
1862. ნ. გ. ჩერნიშევსკის დაპატიმრება პეტერბურგში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № სხვათა №

გაზეთის დაკვეთა
და ცალკე ნომრების [illegible] ქართველთა ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ. № 4,
ტელეფონი №

დ ღ ი უ [illegible]
პეტროგრადიდან—თბილისის [illegible] მატარებელი, სხვა და სხვა საქონლის დატვირთული.
ბოლგარეთში გლეხთა აჯანყება ფართო ხასიათს ღებულობს.
[illegible] გარემოცვე შეუძლია [illegible] პატრონები და მართვლები, [illegible] კომიტეტი.

№ 113 ოთხშაბათი, 20 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 20 ივლისი, 1921 წ. № 113

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტია ძლიერია ბრძოლის მიზნების შეგნებით. ის ძლიერია ბრძოლის იარაღის სწორი არჩევით. ის ძლიერია მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირით. მაგრამ მას ესაჭიროება დრო-დრო გამოწვევებით საკუთარი მებრძოლების დათვალიერება, წახალისება, გამაგრება.

გაამაგრეთ პარტია! განამტკიცეთ კომუნისტური შეგნება! ამით ჩვენ გავამაგრებთ პროლეტარულ რევოლუციას და საბჭოთა ძალაუფლებას!

ოთხშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 7 საათზე, პარტიის განსამტკიცებლად ორკვირეულის გახსნის 1-ლ დღეს, სასახლის ბაღში შესდგება.

საერთო-პარტიული კრება.

დღის წესრიგი.

1. კომინტერნის მესამე კონგრესი და მისი მნიშვნელობა—ლისოვსკი, რუსულ ენაზე, ქავთარაძე—ქართულ ენაზე.
2. კომპარტიის როლი, მნიშვნელობა და ამოცანები—ორახელაშვილი რუსულ ენაზე, მდივანი—ქართულ ენაზე.
3. ორკვირეულის მნიშვნელობა—გოგობერიძე და მეკლერი—რუს. ენ., ელიავა—ქართ. ენ.

თუ ცუდი დარი იქნა, კრება გადატანილი იქნება საოპერო თეატრის შენობაში.

საორგანიზაციო კომისია.

პარტიის გასამაგრებლად ორკვირეულის გატარების წესი.

ს. კ. პ. ც. კ. დანიშნა ამ თვის 20-დან ქ. თბილისში და მის მაზრაში „ორკვირეული პარტიის გასამაგრებლად“. ამ კამპანიის გასატარებლად დაარსებულია საორგანიზაციო კომისია ც. კ., თ. კ. და მაზრკომის წარმომადგენლებისაგან. ამ კომისიამ შეიმუშავა „ორკვირეულის“ გატარების წესი.

ც. კ. აგიტპროპგანყოფილებამ შეიმუშავა ყველა თემებისა და მოხსენებების შინაარსი, რომელიც მიღებულ იქნა კომისიის მიერ მთლიანათ.

ყველა ეს მოხსენებები თეზისების სახით დაბეჭდილია ნაწილობრივ „ც. კ. უწყებების“ № 2, ხოლო უმრავლესობა კი იქნება № 3-ში.

ორკვირეული გაიხსნება ოთხშაბათს 20 ივლისს პარტიული კრებით, სადაც გააკეთებენ 3 მოხსენებას შემდეგ თემებზე:

1. კომინტერნის მესამე კონგრესი და მისი მნიშვნელობა:
   ქართულ ენაზე—ამხ. ქავთარაძე.
   რუსულ ენაზე— ამხ. ლისოვსკი.
2. კომინტერნის როლი, მნიშვნელობა და ამოცანები:
   ქართულ ენაზე—ამხ. მდივანი.
   რუსულ ენაზე—ამხ. ორახელაშვილი.
3. ორკვირეულის მნიშვნელობა:
   ქართულ ენაზე—ამხ. ელიავა
   რუსულ ენაზე—ამხ. გოგობერიძე და მეკლერი.

ამ წ. 29 ივლისისათვის დანიშნულია მეორე საერთო პარტიული კრება შემდეგ თემებზე:

1. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება და ჩვენი საგარეო პოლიტიკა:
   ქართულ ენაზე—ამხ. ელიავა
   რუსულ ენაზე—ამხ. კიროვი
2. ნაციონალური საკითხი:
   ქართულ ენაზე—ამხ. ფ. მახარაძე.
   რუსულ ენაზე—ამხ. ნაზარეტიანი

განსახილველად შენიშნულია 18 თემა: 1) კომპარტიის როლი და მნიშვნელობა, 2) კომპარტიის მორიგი ამოცანები, 3) რ. კ. პ. ისტორია, 4) პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, 5) პარტია და პროფკავშირები, 6) მუშათა მოძრაობა და კომინტერნის ისტორია, 7) ნაციონალური საკითხი, 8) პროპაგანდა და აგიტაცია, 9) ორგანიზაციული მუშაობა (რაიკომები და იაჩეიკები), 10) პარტკომი, 11) პარტიული დისციპლინა, 12) საბჭოთა აღმშენებლობის პრინციპები, 13) სახალხო კომისარიატების მუშაობა, 14) საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება, 15) პარტიული შაბათობანი, 16) პარტიის წესდება და პროგრამა, 17) პარტიულნი და უპარტიონი და 18) მუშაობა ქალთა შორის.

გადაწყვეტილია საერთო კითხვების გამოყოფა, რომლების შესახებაც წაკითხულ იქნება მოხსენებები საერთო პარტიულ და რაიონულ კრებებზე, დანარჩენები კი გარჩეულ იქნება რაიონულ იაჩეიკებში, ხოლო იქ კი, სადაც ისინი რიცხვით ცოტანი არიან, უნდა გაერთიანდენ. ამ იაჩეიკებზე მოწვეულ პასუხისმგებელ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ დასვან გასარჩევათ ყველა მოხსენებები. რაიონების მუშაობის პრაქტიკულ თვალყურის დევნებისა და მიმართულების მიცემისათვის არსდება ორგანიზაციული ბიურო ცეკასა და რეკას წარმომადგენლებისაგან.

ორკვირეულის პირველ დღეს წინადადება ეძლევა ყველა პარტიულ ორგანოებს დასწერონ წერილები ქვემოდ დასახელებულ თემებზე: 1) ორკვირეულის ამოცანები, 2) გაამაგრეთ პარტია, 3) პროლეტარიატის დიქტატურა, 4) კომპარტიის როლი სოციალისტურ რევოლუციაში და 5) პარტია და წითელი არმია.

ორკვირეული დასრულდება საერთო პარტიული შაბათობით. თბილისის მაზრაში ორკვირეულის გახსნა პარტიის გასამაგრებლად დანიშნულია კვირას 24 ივლისს, წესრიგი ისეთივე. მაზრაში გადაწყვეტილია პარტიულის გარდა მოიწვიონ აგრეთვე უპარტიო კრებებიც, სადაც გააკეთებენ მოხსენებებს მიმდინარე მომენტზე.

თბილისის მაზრის ყველა ცხრა რაიონში დანიშნულია შემდეგი ამხანაგები:

1) ყარაიაზის რაიონში ალი-ზადე და შაზანოვი.
2) მანგლისის — ქუნი და მამულაშვილი.
3) საგარეჯოს — კვირკველია და ცომაია.
4) ასურეთის — სვანიძე.
5) მარტყოფის — სუხიშვილი და კორჯალია.
6) კოჯორის — ნაზარეტიანი და პანტურია.
7) სავრი ჰალის ტერუშკინი.
8) შულავერის — ბრუზნიკოვი და მგელაძე.
9) გარეუბნის — კილოსანიძე.

კომუნისტური პარტია

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში გამოჩნდა ევროპაში მებრძოლი კომუნიზმის აჩრდილი და თავზარი დასცა ბურჟუაზიული საზოგადოების სიმდიდრეს: პოლიციამ და ჟანდარმერიამ, მეფემ და სამღვდელოებამ, პოლიტიკოსებმა და სპეკულიანტ-მეჩარხეებმ საღვთო ომი გამოუცხადეს მას და დაუწყეს გაფთრებული დევნა.

მაშინდელი კომუნიზმი ძლიერი იყო იდეიურად, მარქს-ენგელსის გენიალური „კომუნისტური მანიფესტი“ მას აძლევდა თეორეტიულ და პრაქტიკულ პროგრამას, მაგრამ მაშინდელი ეკონომიური სინამდვილე არ იყო საკმაოდ მომწიფებული იმისათვის, რომ მუშათა მასსები ამოძრავებულიყვნენ ერთად, ერთს მთლიან ორგანიზაციის ფარგლებში, ერთი მიმართულებით. მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა—პირველი ინტერნაციონალი, ეს ტვინი მაშინდელი მოწინავე პროლეტარულ მოძრაობისა, არ იყო და ვერც იქნებოდა მჭიდროთ დაკავშირებული მუშათა ფართო მასსებთან, ამიტომაც ის დროებით დამარცხებულ იქნა ბურჟუაზიული რეაქციის მძაფრი შემოტევით. ინტერნაციონალური მოძრაობის ალაგი დაიკავა ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოების ფარგლებში სოციალისტურმა მოძრაობამ. მაგრამ ოთხმოციან წლებში, მიუხედავათ პარიჟის კომუნის სისხლში ჩახჩობისა, ნაციონალურმა ნაკადებმა კვლავ თავი მოიყარეს მეორე ინტერნაციონალში. [illegible] გამოდგა ბოლოს და ბოლოს ეს მეორე ინტერნაციონალი ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც შეისრუტა მრავალი წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები და ინტელიგენტური დროებითი თანამგზავრები, თავისი გაკოტრება / გამოაქვეყნა 1914 წ. იმპერიალისტურ ომის დაწყებისთანავე. როცა ის გადაბარგდა მუშათა კლასის მოსისხლე მტრების ბანაკში და მთელი თავისი გავლენა ბურჟუაზიის ბატონობის გასამაგრებლად აამუშავა.

ომიანობის კვამლში და სისხლის ოხშივარში იშვა ახალი, მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც თავს იდვა პროლეტარული რევოლუციის გზით იმპერიალისტური ბურჟუაზიის დამხობა და კომუნისტური საზოგადოების შენება.

კომუნიზმი დღეს აჩრდილი აღარ არის. დღეს ის, [illegible] ჩამხვდარი, გამოსულა სარდაფებიდან სადაც ის იმალებოდა წინეთ, და ირაზმება მთელ დედამიწის სივრცეზე. მან უკვე გაიმარჯვა საბჭოთა რესპუბლიკებში, მთელს ქვეყნიერებაზე ის უკვე ძალიან არის ძლიერებული მტერ-მოყვარეთა მიერ. ის დრომა საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე, კლასობრივათ გათვითცნობიერებულ ავანგარდს.

ის ტვინია მშრომელთა ტანის, იმავე დროს ის არის ერთად ერთი ორგანიზატორი რევოლუციონური ბრძოლის და პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების. კომუნიზმის პარტია ერთად ერთი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი და ბელადია პროლეტარიატის და ყველა მშრომელების. უკვე დაწყებულ მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის ხანაში კომუნისტური პარტია არის ერთად-ერთი პარტია, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ბრძოლის მიზანი, ბრძოლის იარაღი.

ბურჟუაზიის დასაცემს და კაცობრიობას იხსნის გაველურებისაგან მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია, სამოქალაქო, კლასობრივი ბრძოლა.

ბრძოლის მიზანია—კომუნიზმი, ე. ი. თავისუფალი საზოგადოება მშრომელთა, სადაც აღარ იქნება კლასობრივი შეხლა-შემოხლა, სადაც ყველა იქნება მშრომელი, სადაც საზოგადოებრივი წარმოება იქნება მოწყობილი საერთო გეგმის მიხედვით, სადაც თავისუფალ მშრომელ ადამიანს მხოლოდ ბუნების ძალებთან მოუხდება ბრძოლა მეცნიერების, ტეხნიკის და სხვ. ასეთი იარაღით.

პროლეტარიატის დიქტატურა და მისი გამოსახულება—საბჭოთა სისტემა, ეს გარდამავალი პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც ესაჭიროება მშრომელთ, რათა გასრისონ ყველა თავისი მტერი, ყველა ურჩი ახალი; მაშინ [illegible] ძალა უფუძნის. კომუნისტურ პარტიას შესისხლხორცებული აქვს ყოველივე ეს. ის [illegible] რია მუშათა მოძრაობის მიზნების შეგნებით. მაგრამ მას დრო-დრო ამოშვებით ესაჭიროება თავის რაზმების დათვალიერება, მათი წახალისება, გამაგრება. მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში ჩვენი კომუნისტური პარტია ასეთ მუშაობაში იქნება ჩაბმული.

კომუნისტური პარტიის როლი და მნიშვნელობა.

(თეზისები)

1. პირველათ კომუნისტურ პარტიის როლი და მნიშვნელობა საფუძვლიანად გაშუქებულ და დასაბუთებულ იქნა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის უკვდავ თხზულებაში: „კომუნისტურ პარტიის მანიფესტში“ (რომელიც გამოვიდა 1848 წ. დასაწყისს), რევოლუციონურ პროლეტარიატის პარტიის ამ თეორეტიულ და პრაქტიკულ პროგრამაში. „მანიფესტის“ მე-2 თავში სხვათა შორის ნათქვამია, რომ კომუნისტებს „არ აქვთ ინტერესები განცალკევებული მთელ პროლეტარიატისაგან“ და „რომ კომუნისტები განსხვავდებიან სხვა პროლეტარულ პარტიებისაგან მხოლოდ მით, რომ, ერთი მხრით, სხვა და სხვა ნაციების პროლეტარების ბრძოლაში აყენებენ და იცავენ დამოუკიდებლათ ეროვნებისა პროლეტარიატის ინტერესებს მთლიანათ, მეორე მხრით, მით, რომ ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე, რომლებზედაც გადადის ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, მუდამ არიან მოძრაობის ინტერესების წარმომადგენლები მთლიანათ.“

და შემდეგ: „ამრიგათ კომუნისტები პრაქტიკულათ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ის ნაწილია, რომელიც ყველაზე უფრო გაბედულია, რომელიც ყოველთვის შორს მიისწრაფვის; თეორეტიულად მათი უპირატესობა პროლეტარიატის დანარჩენ მასებზე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უფრო არკვევენ პროლეტარიატის მოძრაობის პირობებს, მსვლელობას და საერთო შედეგებს“.

კომუნისტების უახლოეს მიზნათ მანიფესტი აცხადებს, „პროლეტარიატის შეკავშირებას კლასად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობას, პოლიტიკურ ძალაუფლების დაპყრობას პროლეტარიატის მიერ“.

თავის შემდგომ ნაწარმოებებში მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც გარდამავალი ეპოქა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ, როდესაც პროლეტარიატი დაამხობს რა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძალა-უფლებას, ერთ და იმავე დროს ხელ-ახლა უნდა მოაწყოს სოციალისტურ საფუძვლებზე მთელი ცხოვრება და დაიცვას თავი მეტად მეტად გადამჭრელი ზომებით ბურჟუაზიისა მემამულეებისა და საზოგადოთ ყველა თავის მტრებისაგან, რომლებიც კიდევ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას.

2) გამოცდილებამ პარიზის კომუნის სისხლიანი გამოცდილებით და მე II ინტერნაციონალის [illegible], რომელმაც გაცვა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესები, და აგრეთვე რ. კ. პ. წინამძღოლობით საბჭოთა რუსეთის გმირულ ბრძოლის გამოცდილებით კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რევოლუციონურ პროლეტარების დღეს ერთად ერთმა საერთაშორისო გაერთიანებამ, ასე გამოთქვა თავის მე II კონგრესზე (19 ივლისს 7 აგვისტოს 1920 წ. მოსკოვში) „მანიფესტის“ ზემოდ მოყვანილი დებულებები: კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასის ნაწილი. სახელდობრ: მისი ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო შეგნებული. და ამიტომ ყველაზე უფრო რევოლუციონური ნაწილი. კომუნისტური პარტია იქმნება ყველაზე უფრო კარგი, ყველაზე უფრო შეგნებული; ყველაზე უფრო თავდადებულ, ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელ მუშებისაგან. კომუნისტურ პარტიას არ აქვს მუშათა კლასისაგან განსხვავებული ინტერესები. კომუნისტური პარტია მით განსხვავდება მუშათა მთელი მასსისაგან, რომ ის ხედავს მუშათა კლასის მთელ ისტორიულ გზას საერთოდ და ცდილობს ამ გზის ყველა მიხვევ-მოხვევებში დაიცვას ინტერესები არა ცალკე ჯგუფების, არა ცალკე პროფესიების, არამედ ინტერესები მუშათა კლასისა მთლიანათ. კომუნისტური პარტია ის ის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღერძია, რომლის დახმარებით მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოწინავე ნაწილი მიმართავს სწორი გზით პროლეტარიატისა და ნახევრათ პროლეტარიატის მთელ მასას.

3. არის რა მასიური პარტია, კომპარტიას მაინც თავის რიგებში ყავს და ეყოლება მუშების მხოლოდ უმცირესობა, სანამ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ დაუპყრია ძალა-უფლება და ლიკვიდაცია არ მოუხდენია კლასებისთვის. სანამდის კომპარტიას შეუძლია განუწყვეტლათ სარგებლობდეს იდეური პოლიტიკური გავლენით მთელ მშრომელთა მასსაზე, მაგრამ შეკრიბოს თავის ორგანიზაციაში მთელი ეს მასა მას არ შეუძლია მანამ, სანამ საბოლოოთ და ყველასთვის აშკარათ არ იქნება დანგრეული საფუძვლიანათ ბურჟუაზიული ბატონობის მთელი შენობა გამოყენებისა და ჩაგვრის მისი აპარატით. მაშინ და მხოლოთ მაშინ გაუწევრიანდება კომუნისტურ ორგანიზაციას მთელი პროლეტარული კლასი და ნახევრათ პროლეტარული წრეები.

4. ამ რიგათ პარტიის შემეცნება არ ფარავს სავსებით კლასის შემეცნებას. და კომუნისტური პარტია პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობამდე და რევოლუციის შემდეგ გარდამავალ პერიოდში არის პარტია მუშათა კლასის შეგნებულ ავანგარდისა, რომელიც ცდილობს თავისი აგიტაციით და პროპაგანდით, ორგანიზაციით და ბრძოლით გამოაღვიძოს პროლეტარიატის მასა, აამაღლოს მთელი პროლეტარული არმია მის მებრძოლ, კომუნისტურ ავანგარდის დონემდე.

5. არის რა პირველი შვილი სოციალური რევოლუციისა, რომელიც ახლა იწყება, ე. ი. კლასიური ბრძოლის გამწვავებისა პროლეტარიატის ძალა-უფლების და მისი კლასიური დიქტატურისათვის, კომუნისტურ პარტიას ერთად ერთს შეუძლია უხელმძღვანელოს და მიმართულება მისცეს ამ ბრძოლას, ვინაიდან მხოლოდ მას, როგორც რევოლუციონურ მუშათა კლასის პარტიას აქვს სასტიკათ განსაზღვრული მიზნები და საბრძოლველ მოქმედების სწორი პროგრამა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყველა დარგში—ე. ი. სოციალისტური აღმშენებლობისა პროლეტარიატის დიქტატურის დაცვისა და განმტკიცების საფუძველზე.

6) პროლეტარიატის ბრძოლა მოითხოვს სასტიკ ცენტრალიზაციას და ამიტომ კომპარტია ასრულებს საერთო ხელმძღვანელობას პროლეტარიატის მოძრაობის სხვა და სხვა ფორმებზე როგორც, მაგალითად: პროფკავშირებზე, კოოპერატივებზე, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებზე, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე, სხვა და სხვა არჩევნებზე და სხ. აერთიანებს რა თავის ერთიან ხელმძღვანელობის ქვეშ პროლეტარული ფრონტის ყველა საბრძოლველ უბნებს და აშუქებს რა მშრომელთა მთელ მოძრაობას მთლიანი ერთიანი თვალსაზრისით, კომპარტია აძლიერებს რევოლუციონურ ნაკადის ძალას მით, რომ აერთებს რევოლუციონურ პროტესტის და ბრძოლის ყველა ცალკე შენაკადებს ერთ მთლიან მდინარებაში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობათ.

7) წარმოადგენს რა ტვინს პროლეტარიატისას კომპარტია იჭერს მჭიდრო კავშირს მუშათა ფართო მასსასთან, მუშათა სხვა და სხვა უპარტიო ორგანიზაციებთან და აწარმოებს მასში სისტემატიური მუშაობას მათი რევოლუციონერათ აღზრდისათვის თანახმად კომუნიზმისა. ეწევა პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების იდეის რომელიც დღეს დღეობით ერთად ერთი ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურისა.

8. პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობისა და საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ კომ. პარტიის როლი კიდევ უფრო პასუხსაგები და მნიშვნელოვანი ხდება ვინაიდან მხოლოდ კომპარტიას შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს გამარჯვებულ პროლეტარიატს მშრომელთა მასების დაცვაში და განმტკიცებაში და აგრეთვე ბურჟუაზიული წყობის ნაშთებისა და ცხოვრების წესწყობილების მოსპობაში მუშათა ცალკე წრეებს შორის.

9. კომუნისტური პარტია, რომელიც დღეს მსოფლიო პროლეტარიატის პარტიაა, რომელსაც აქვს თავისი საბრძოლო შტაბი კომუნისტ ინტერნაციონალის სახით გახდება ზედმეტი მხოლოდ კლასთა და სახელმწიფოთა სრული მოსპობის შემდეგ, როცა მისი ისტორიული მისია დასრულებული იქნება კომუნისტური წესწყობილების დამყარებით მთელ მსოფლიოში, როცა კლასთა ბრძოლა სამუდამოთ მოისპობა და ადგილს დაუთმობს ადამიანთა საზოგადოების ბრძოლას ბუნების ძალთა წინააღმდეგ.

10. კომ. პარტიის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა საქართველოში უდიდესია იმ ქვეყანაში, სადაც მსხვილი წარმოება სუსტადაა განვითარებული, სადაც არ არსებობს პროლეტარიატის მეტი [illegible] მასები. კომპარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკურ-განმანათლებელი საკითხები ერთობ დიდია. ს. ქ. კომ. პარტიის [illegible] მოქმედება წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში და ამაშია მისი ძალის თავისებურება. აერთიანებს რა ქალაქის პროლეტარიატს, მან უნდა ენერგიულად იმუშაოს წვრილ და საშუალო გლეხებში და გახადოს ისინი პროლეტარიატის ერთგულ მოკავშირეებად.

იცავს რა საბჭოთა ხელისუფლებას ანტანტის და მისი ადგილობრივი აგენტების ბოროტ-განზრახვებისაგან ძლევამოსილი წითელი არმიის შემწეობით კომ. პარტია ამავე დროს უნდა ენერგიულად შეუდგეს ქვეყნის სარევოლუციო ძალთა აღდგენას და მის განვითარებას შემდეგში.

მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოები, წარმოებული კავშირები, კოოპერატივები განათლების ხალხის ფართო მასსისა და სხვა ამ სამოქმედო და საბრძოლო [illegible] ჩვენი პარტიისა, რომელსაც მიაქვს [illegible] ერთობა, რკინის დისციპლინა და ცენტრალისტურად მოწყობილი აპარატი. ვსარგებლობთ რა რუსეთის პროლეტარიატის თითქმის 4 წლის ტიტანური ბრძოლით და გამარჯვებით, მისი სამაგალითო კომ. პარტიის დახმარებით და მასთან მჭიდრო იდეური კავშირით, ჩვენ გავიმარჯვებთ სამეურნეო ფრონტზე და საბოლოოთ განვამტკიცებთ საბჭოთა ხელისუფლებას შემდეგში ბრძოლისათვის კომუნისტური წესწყობილების დასამყარებლად.

მ. ო.

კომინტერნის მესამე კონგრესი.

პირველი საზეიმო სხდომა (22 ივლისი) *).

დიდი თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. პარტერში და ლოჟაში სხედან კონგრესის დელეგატები, ზემო იარუსებში კი მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლები. დელეგატები ერთი მეორეს შთაბეჭდილებას უზიარებენ. გაისმის ყველა ევროპიულ და აზიურ ენებზე ლაპარაკი. ესტრადაზე გამოდის კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ამხ. ზინოვიევი, რომელიც მესამე კონგრესს გახსნილად აცხადებს, პირველ სიტყვას ამბობს თვით ზინოვიევი.

ამხ. ზინოვიევი. ამ ახლო ხანში ბერლინში წინეთ დაიღუპა ამხანაგი ზილტი; ოსმალეთში დაიღუპა მეტად აქტიური კომუნისტების მთელი ჯგუფი: [illegible] თეთრ გვარდიელებმა დახვრიტეს რამდენიმე ჩვენი საუკეთესო ამხანაგი; იტალიაში დღე არ გავა, რომ ტერორი არ მოხდეს; გერმანელ ამხანაგებმა მარტის დღეებში დაჰკარგეს მრავალი ასი ამხანაგი. არის მსხვერპლი მეორე კონგრესის წევრთა შორის. დაიღუპა ჯგუფი ფრანგ[illegible] ამხანაგებისა, რომლებიც ბრუნდებოდნენ ბურჟუაზიის კორდონით. (მათ ხსოვნას კონგრესი ფეხზე ადგომით პატივს სცემს). ჩვენ უფრო გაძლიერდით, თუმცა კომუნისტურ მოძრაობის მტერნი უკვე [illegible] იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და გერმანიის პროლეტარიატის რევოლუციონურ გამოსვლას, ჰგონიათ, რომ ვითომ კომუნისტურ ინტერნაციონალმა განიცადა დამარცხება, პირიქით ჩვენა გვგონია, რომ ასეთი მოვლენა აუცილებელია: მათგან შესდგება მუშათა კლასის ბრძოლის [illegible] რუსეთშიაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქ ბოლოს და ბოლოს რევოლუციონურმა მოძრაობამ მაინც გაიმარჯვა.

კაპიტალიზმი განიცდის მძიმე კრიზისს. ევროპაში და ამერიკაში უმუშევართა რიცხვი მილიონობით. ინგლისის მემადნეთა გაფიცვა განსაცვიფრია თავის მედგრობით და შეუდრეკელობით, მიუხედავად მეთაურთა მოღალატეობისა.

ეს გაფიცვა უკვე კარგა დიდი ხანია გრძელდება. დღეს ჩვენ მივიღეთ ცნობა იტალიაში ახალი გაფიცვების შესახებ. ბავარიაში ამას წინეთ მოხდა სამი დღის საყოველთაო გაფიცვა. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიები დიდათ გაიზარდენ. შარშან საფრანგეთიდან აქ წარმოდგენილი იყო მხოლოდ მცირედი ჯგუფი: წელს კი 120 ათასი კაცია თავის დელეგატების სახით. ჩეხოსლოვაკიიდან აგრეთვე რამდენიმე დელეგატი მოგვყავდა, ახლა ჩვენ წინ ვხედავთ 400 ათას შეკავშირებულ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების წარმომადგენლებს. ინგლისისა და ამერიკის კომუნისტურმა პარტიებმა მოახდინეს გაერთიანება, რომელმაც გაამაგრა ისინი ამ ქვეყნებში; თეთრ ტერორს არ ძალუძს ჩვენი პარტიის მოსპობა და შეურყევლია მისი ზრდის შეჩერება. იტალიელ სოციალისტების შარშანდელ წარმომადგენლების ნაცვლად წელს აქ, ჩვენ შორის იმყოფებიან იტალიის ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები. [illegible] თავისუფლდით ცენტრალისტური მეთაურებისაგან, შორს არაა ის დრო, როცა იტალიის ყველა მუშები იქნებიან ჩვენს რიგებში. შარშან ჩვენთან ჩამოვიდნენ გერმანიის დამოუკიდებელთა წარმომადგენლები. ისინი ცდილობდენ ჩვენთან შეერთებას შიგნიდან საბოტაჟს მოახდენათ. ჩვენ ასეთ თანამშრომლობაზე უარი განვაცხადეთ. მაშინ მათ შეადგინეს ორნახევარი ინტერნაციონალი, რომლის გარშემო თავი მოიყარა ყველა მერყევმა ელემენტებმა. ამან ჩვენ ხელები არ უნდა [illegible]. რა დაემართა ამ წლის განმავლობაში ყვითელ მეორე ინტერნაციონალს? მეორე კონგრესის დროს კიდევ საჭირო იყო მისი დალუპვა. ახლა კი მეორე ინტერნაციონალის ბედს ერთობ გარკვევით ახასიათებს მისი თავმჯდომარის ტომასის ბედი. მემადნეთა გაფიცვის დროს მან უღალატა გაფიცულთ და რომ თავი დაეხსნა შურის ძიებისაგან, ამერიკაში გაიხიზნა, მაგრამ იქ მას ამერიკის მუშები მტრული დემონსტრაციით შეხვდნენ. წითელ პროფკავშირთა საერთაშორისო საბჭომ უკვე შემოიკრიბა თავის გარშემო 15 მილიონი მუშა.

ჩვენ მოგველის დიდი მუშაობა. ჩვენს ტაქტიკაზე დაწვრილებით უნდა [illegible]. [illegible] უნდა გავუწიოთ ყველა მათ, ვისაც ჩვენს ჯგუფებში შემოაქვს შფოთი და აშლილობა. ყველა ჩვენს ამხანაგებს უნდა ვაუწყოთ საბჭოთა რუსეთის შიგნით და გარეშე მდგომარეობის შესახებ. ჩვენი კონგრესი გარშემორტყმულია ბურჟუაზიის სიძულვილით. პარიზის პრესა სიხარულით აღნიშნავს, რომ კონგრესზე დელეგატების მეტად მცირე რიცხვი შეიკრიბა. ნამდვილად კი ჩვენ ამ დარბაზში ვერ ვათავსებთ ათასზე მეტს დი-

---

*) ვბეჭდავთ დაწვრილებით ანგარიშებს.

რედაქ.

2½ ინტერნაციონალის დაარსება

(დასასრული იხ. „კომ.“ № 112).

2-ნახ. ინტერნაციონალის მომავალი.

2 ნახ. ინტერნაციონალი პოლიტიკურ იდეების დამოუკიდებელ კომპლექტს მოკლებული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია ძალიან შორსაა იმ განზრახვისაგან, რომ ცხოვრებაში განახორციელოს მესამე ინტერნაციონალისგან გადმოღებული და მის მიერ შერყვნილი იდეები,

ის საერთოდ პროლეტარიატის ინტერნაციონალის ორგანიზაციას არ წარმოადგენს, მაგრამ ძალიან კი ცდილობს იყვეს ინტერნაციონალური, ეროვნულის მაგრამ ცენტრისკენ მიმავალ სოციალისტურ პარტიების სუსტათ შეკავშირებულ ფედერაციასთან. მას თუ რამდენათ ნაკლები რწმენა აქვს თავისი ბრძოლისა და [illegible] უნარზე, ამას ყველაზე უკეთესად გვიჩვენებს ის გარემოება რომ ის კუდში დასდევს ამსტერდამის ყვითელ პროფკავშირების ინტერნაციონალს. მიუხედავად ყოველივე ამისა შეცდარი ვიქნებოდით რომ გვეფიქრა 2 ნახ. ინტერნაციონალს სასიცოცხლო უნარი არა აქვსო: იმ შემთხვევაში თუ დასავლეთ ევროპაში რევოლუციონური მოძრაობა მახლობელ ხანაში მსწრაფლ არ განვითარდება, თუ მუშათა მასების გარევოლუციონერობის პროცესი ნელი ნაბიჯით იწარმოებს, მაშინ 2 ნახ. ინტერნაციონალს კიდევ შეუძლია გზა ჯვარედინზე მდგომი მასები შეაკავოს მესამე ინტერნაციონალთან შეერთებისაგან. 2 ნახ. ინტერნაციონალი გახდება იმ ფენების თავშესაფარი, რომლებსაც კიდევ არ შეუძლიათ გადასწყვიტონ თუ რომელი გზით წავიდნენ. მისი არსებობა მიჩვენებითი არსებობა იქნება. მას არ შეუძლია გახდეს მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონურ ავანგარდის ცოცხალ სულის გამომხატველათ, არ შეუძლია ბრძოლა და პროლეტარიატის [illegible] ის იქნება საოცნებო ნავთსაყუდარი მანამ, სანამ დროთა ვითარება ამ ავანგარდს არ მიიყვანს მსოფლიო რევოლუციის ფრონტთან.

თუ რამდენათ მრავალ რიცხოვანია რყევაში მყოფი მასები ეს ყველაზე უკეთ გვიჩვენა იტალიის სოციალისტურ პარტიაში ამ დღეებში მომხდარმა ამბებმა. ეს პარტია კომუნისტური ინტერნაციონალის ერთი დიდი პარტიათაგანი იყო, ამ პარტიის რიგებში მდგომმა ერთი ათასობით (კიდევ უფრო მეტი) მუშებმა იტალიის რევოლუციის საავანგარდო ბრძოლაში თავი ისახელეს. იმათ საქმით გამოუცხადეს თავის თანაგრძნობა საბჭოთა რუსეთს, როდესაც ამ უკანასკნელს უდიდესი საფრთხე მოელოდა. ამავე პარტიამ მიიღო პროლეტარიატის დიქტატურა. მუშათა საბჭოების იდეა შეითვისეს და რევოლუციონური გზითაც კი უნდათ მრეწველობაზე კონტროლის განხორციელება სამრეწველოების საბჭოების საშუალებით.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ისინი მჭიდრო კავშირით არიან გადაბმულნი რეფორმისტულ წარსულთან რომლის მნიშვნელობა კიდევ არ ესმით თუმცა ეს რეფორმიზმი იტალიის რევოლუციის დაცხრომით იმუქრება. ჯერ კიდევ ომამდე მომხდარ რეფორმისტების გათიშვისა და იმის წყალობით რომ იმათ ერთმა ნაწილმა, რომელიც აშკარად ემხრობოდა იმპერიალიზმს, გამოიყო პარტიას, იტალიის პროლეტარიატის უმრავლესობა არ ხედავს საფრთხეს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების სოციალურ რევოლუციისადმი სამტროდ განწყობილ დემოკრატიულ პაციფისტურ ელემენტების ავსებაში. და ამ პროლეტარულ მასას, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის ავანგარდათ ითვლებოდა, როდესაც მოუხდა არჩევანი რეფორმისტ ბელადებს და კომუნისტურ ინტერნაციონალს შორის, მიემხრო რეფორმისტთა ბელადებს. ის ფაქტი რომ სერატის მომხრე მუშებს ღრმათ სწამთ რომ მიუხედავათ ამისა, მე 3-ე ინტერნაციონალის ერთგულების გრძნობა დაცული აქვთ იმის დამამტკიცებელია თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს ცენტრისტები მუშათა მოძრაობისათვის.

ცენტრისტთა აზროვნების შხამი ღრმათ შეჰკრა მუშათა კლასის ფსიქიკაში. მხოლოდ მსოფლიო რევოლუციას, რომლის გაფართოვებაც თანდათანობით ხდება შეუძლია ამ შხამის ისევ გარედ გამოტანა. არც თეორეტიული კვლევა და არც პროპაგანდა ამ საქმეში გამარჯვებას ვერ მოგვცემს. ამ შხამს დავძლევთ მხოლოდ ბრძოლის საშუალებით, რომელი ბრძოლაც მასებს მისცემს სიმხნევეს და მტკიცე რწმენას იმისას, რომ გადამწყვეტ მომენტში ყოველგვარი რყევა სიკვდილს უდრის.

ის მოსაზრება რომ ცენტრისტული სული უნდა ძლეულ იქნას მსოფლიო რევოლუციის პირობებში და ამ პირობებით, სრულებითაც არ ნიშნავს იმას რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ასეთ ცენტრისტულ სულს თავის წყობებში მისცეს ადგილი, იმიტომ რომ ის რევოლუციისაგან ბოლოს და ბოლოს ძლეულ იქნება. თავისთავად იგულისხმება რომ ის ცენტრისტული სულით მოწამლული ორგანოები, უნდა დროით მოცილებულ იქნას რათა მან მთელი სხეული არ მოწამლოს.

დიდ გილფერდინგებმა დამშვიდებულათ იკრიბონ და დაგვცინონ და გვიწოდონ ჩვენ მასისგან გათიშული სექტანტები, ხოლოდ კი უკანასკნელები არ დაეთანხმებიან ჩვენი მიწერილობათა უსიტყოდ მიღებას. კომუნისტური ინტერნაციონალი პროლეტარიატის რევოლუციონური ავანგარდია. და რამდენათ ის იჩენს ნელ განვითარების პროცესში მყოფ მუშათა მასებთან კონტაქტის საჭიროებას იმდენათ უფრო უნდა იზრუნოს რომ მის რევოლუციის საავანგარდოს რიგებში შეფარდებულ თანამედროვე მიზნებსა და გზების შესახებ ფხიზელი და ცხადი გარკვეული შეხედულება. ვისაც უნდა მასები ჩააბას რევოლუციონურ ბრძოლაში, თავისთავად იგულისხმება ის ამ მასებთან მჭიდრო კონტაქტში უნდა იყვეს. ის არ უნდა ცდილობდეს თავის შეხედულებისამებრ მასების თავისუფალ სვლის გზების გამორკვევას. კომუნისტურ ინტერნაციონალს ეს არ უქნია არასოდეს. მას ისეთი მიზანი აქვს, რომელიც ემყარება მსოფლიო რევოლუციის განვითარების ტენდენციის გაგებას. კომუნისტური ინტერნაციონალის მიზნებისათვის მხარის დაჭერა სრულებითაც არ ნიშნავს მუშათა მასას დოქტრინერულათ წინ დაუყენო თავისი საკუთარი სურვილები. ეს იმას ნიშნავს რომ დღევანდელი დღის მიხედვით იფიქრო მუშათა კლასის ხვალინდელ დღეზე; გზის მიხვეულ-მოხვეულ ადგილებიდან რომ ჩანს ის მიზნები არ დაკარგო: და მასის მოძრაობის პროცესში, რყევის, უკან დახევისა და განვითარების ხანაში შექმნა მჭიდროთ შედუღებული ავანგარდი და მისი დახმარებით მუდმივათ მოიზიდო მასა და წაიყვანო ის გამარჯვებისაკენ.

ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარეობს რომ რყევის პროცესში მყოფ მუშათა მასებთან არა მარტო კავშირია საჭირო, არამედ ვალდებულია ბრძოლა მის ყოველგვარ [illegible], მის რყევასთან და უპირველეს ყოვლისა ცენტრის იდეოლოგიასთან მის ბელადებიანათ და ორგანიზაციებიანათ. ამიტომაც კომუნისტური ინტერნაციონალის 2½ ინტერნაციონალთან დამოკიდებულება უნდა იყვეს საომარი. ხრიკებსა და მოტყუილებასთან რამდენათ დაუნდობელი და სისტემატიური იქნება ჩვენი ბრძოლა, იმდენათ უფრო მჭიდრო გახდება ჩვენი რიგები და იმდენათ უფრო დიდი იქნება ჩვენი გავლენა 2 ნახ. ინტერნაციონალის დროშის ქვეშ მდგომ მასებზე. მათთან ჩვენ გვინდა ცალკე ვიმოქმედოთ სადაც და რა დროსაც არ უნდა შეიქმნას ბრძოლა. მათ ბელადებს კი ჩვენ შევებრძოლებით დაუნდობლათ ყველგან და ყოველთვის სადაც და როდესაც ისინი მუშათა მასების მოტყუილებას მოინდომებენ და ან მაშინ და იქ, სადაც ისინი თავის მოვალეობას უღალატებენ.

გერმანიის დამოუკიდებელთა ისტორია გვიჩვენებს, ჰალეში გათიშვის შემდეგ, როდესაც იმათ დაჰკარგეს რევოლუციონური მუშათა ელემენტებით დატვირთული ბარგი, როგორ სწრაფად წავიდნენ მარჯვნივ. თავის [illegible] ჩამოხრით ისინი დაიჩქარებენ კომუნისტურ ინტერნაციონალის გამარჯვებას. 2 ნახ. ინტერნაციონალი მთელი მსოფლიო რომ განიცდის იმ რევოლუციონური პროცესის ნაყოფია, მაგრამ არა ისეთი ნაყოფი, რომელშიც მსოფლიო რევოლუციის სული იყვეს გამოხატული, არამედ ეს ისტორიის ზედაპირზე მოყვანებული ქაფია მსოფლიო რევოლუციის დღეებისაგან რომ იქნება. ამიტომ 2 ნახ. ინტერნაციონალს მსოფლიო რევოლუცია დედამიწის პირისაგან წარეცხავს, როგორც კი ეს რევოლუცია მეტ ძლიერ მოქმედებაში გადავა. მანამდე კი ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მას, როგორც ისეთ ტრადიციას, რომელიც აჩერებს იმ მომენტის მოახლოვებას, როდესაც პროლეტარიატი ძალს გამოიკრებს და რევოლუციონურ ბრძოლაში ჩაებმება.

კარლ რადეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგატს მთელი მსოფლიოს 48 ქვეყნიდან. ჩვენ ვიმუშავეთ გარშემორტყმულნი მთელი ქვეყნის პროლეტარების სიყვარულით, მათი მზრუნველობითა და დახმარებით. არას დროს არ ყოფილან ამდენი წარმომადგენელნი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, როგორც ამ ყრილობაზეა. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის შემდეგ ჩვენი გავლენა გაძლიერდა აზიის ხალხთა შორის.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი განსაკუთრებით მხურვალედ ესალმება მთელი მსოფლიოს კონგრესის კომუნისტურ ახალგაზრდობის დელეგატებს. თავის სიტყვას ამხ. ზინოვიევი ათავებს. გა[illegible] ტაში და გამოძახილები [illegible] რევოლუციისა და კომინტერნის [illegible].

ამხ. კამენევი [illegible] თავის მისალმებას და აღნიშნავს [illegible]ლებათ ისტორიის სურდა, რომ მთელი ქვეყნის რევოლუციონურ კომუნისტური ძალების კონგრესი შეკრებულიყო დესპოტიის ყოფილ სატახტო ქალაქში, სადაც ასეული წლობით მეფობდა დესპოტია და რომელშიც ახლა მეოთხე წელიწადია, რაც დღესასწაულობს თავის ხელისუფლებას რუსეთის პროლეტარიატი. მუშათა კლასმა თავი მოუყარა 135 მილიონ მუშას ჩაქუჩის და ნამგლის დროშის ქვეშ. „ჩვენ შევცვალეთ, სთქვა ამხ. კამენევმა, ფრონტებზე გამარჯვების შემდეგ თოფი ჩაქუჩით და ჩვენ დავამტკიცებთ, რომ საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასს შეუძლია სათანადოდ მოაწყოს თავისი მეურნეობა. [illegible] აღმშენებლობითი მუშაობის დროს მოგვესწრო მესამე კონგრესმა. მაშ გაუმარჯოს ჩვენ ძვირფას სტუმრებს“.

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიისაგან. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა წითელ არმიას კუტიური. ფრანგი ამხანაგები, რომლებმაც იმპერიალისტური ომის დროს შე[illegible] იარაღის ხმარება, ყველაზე ადრე არიან შეურთდნენ მსოფლიო რევოლუციის არმიას. როდესაც იფეთქებს საფრანგეთში რევოლუცია მის მრისხანე გამოძახილზე საშველად გამოეშურება რუსეთის წითელი არმია.

გერმანიის კომუნისტებისაგან. გერმანიის მხცოვანი კომუნისტი, ციმერვალდის მოძრაობის მონაწილე ფრეილიხი ესალმება საბჭოთა რუსეთს, როგორც რევოლუციის ციხე სიმაგრეს და საბჭოთა წითელ არმიას, როგორც რევოლუციის მძიმე მახვილს. გერმანიის კომუნიზმი მოელის ამ კონგრესიდან რომ იქნება გაგრძელებული მეორე კონგრესის ხაზი. გერმანიის კომუნიზმმა შესძლო მოეშორებინა მემარჯვენე ფრთა, რომელიც ამის შემდეგ მიემხრო მუშათა კლასის გამცემლთა ბანაკს. გერმანიის კომუნისტური პარტია ნზათაა იბრძოლოს უკანასკნელ გამარჯვებამდის. რამდენათ არ უნდა გაავრცელონ სოციალისტებმა საგანგებო სასამართლოები, გერმანიის პროლეტარიატი თანდათანობით თვალს ახელს და იგი მჭიდროთ ერთდება კომუნისტურ დროშის ქვეშ.

იტალიელ კომუნისტებისაგან. ესალმება რა ამხ. ჯენარი კონგრესს იტალიელ კომუნისტების სახელით, აცხადებს, რომ შარშან აქ იმყოფებოდენ იტალიელი სოციალისტები, სერრატის მეთაურობით. სერრატი ახლა აქ არ არის: იგი რევოლუციისა და მე 3 ინტერნაციონალის მოღალატეა. იტალიის პროლეტარიატი მას ზიზღს უცხადებს და თავის მებრძოლთა რიგებიდან სდევნის. მაგრამ იტალიის მშრომელთა შორის არიან ისეთი ელემენტებიც, რომელთაც მე 3 კონგრესის ავტორიტული ხელმძღვანელობა სჭირდებათ. კონგრესმა მათ დახმარება უნდა გაუწიოს, რომ ისინი არსებულ მდგომარეობაში გამოერკვენ და უნდა აიძულოს ისინი, რათა მათ შეასრულონ თავისი მოვალეობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინაშე.

საფრანგეთის პროფკავშირთა საბჭოსაგან. საფრანგეთის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი ამხ. თომახი ამბობს: საფრანგეთში პროფ მოძრაობის უკანასკნელი დღეები ფრიად უნაყოფო იყო. მაგრამ დღეს ფრანგი მუშები საბოლოოდ დარწმუნდნენ რომ ბურჟუაზიას ყელში უნდა სწვდენ, დარწმუნდენ შეთანხმება იმათთან, ვინც მათ ღლრებს დაქირავებულ მკვლელთა რევოლვერებს შეუძლებელია. ისინი უკვე განთავისუფლდენ დემოკრატიულ ბოდვისაგან და უკან მისდევენ მოსკოვს, რუს მუშებს.

ბულგარეთის კომპარტიისაგან. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე ამხ. კოლაროვი, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდენ, უამბობს მათ, თუ როგორ სდევნის ბურჟუაზიულ მებატონეთა მთავრობა, პროლეტარიატის კომუნისტურ მოძრაობას. იმისდა მიუხედავათ, რომ ბულგარეთი თავის თავად კულტურულ-ეკონომიურის მხრივ ჩამორჩენილია, იქ მაინც მუშათა კლასი ძლიერდება და არსდება კომუნისტური პარტიები. მთელს ბულგარეთში ბრძოლა სწარმოებს, კაცობრიობის სოციალურად სრული განთავისუფლებისათვის. კომუნისტური მოძრაობა კაცობრიობისა და პროგრესის ერთად ერთი ბერკეტია.

ინგლისის სამთამადნო მუშებისაგან. ინგლისის სამთამადნო მუშები თავისი დელეგატის პირით გვითვლიან მხურვალე მადლობას მათთვის გაწეულ დახმარებისათვის. ინგლისურ მემაღაროეთა ბრძოლა აუწერელ მძიმე პირობებში სწარმოებს, მაგრამ ისინი მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ბრძოლა სრულის გამარჯვებით დამთავრდება.

იაპონიის დელეგატის სიტყვა. დიდის ყურადღებით მოისმინა კონგრესმა იაპონიის დელეგატის ამხ. ტოგუბის მოხსენება. დღევანდელი იაპონია აწარმოებს მძარცველურ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში. ამის და მიუხედავათ მუშები ამ გახრწნილ პოლიტიკისგან ნელ ნელა თავისუფლდებიან და გარდამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან. ამას საგრძნობლად ხელს უწყობს იაპონიაში არსებული მრეწველობის კრიზისი. იაპონელი კომუნისტები იბრძვიან და იბრძვიან კოლონიალურ იმპერიალისტურ პოლიტიკის წინაღმდეგ და ბრძოლაში დიდად ეხმარებიან მათ მუშათა მასები.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალიდან. ახალგაზრდობის ინტერნაციონალის წარმომადგენელი მონტენიანო 800 ათასი წევრის სახელით ესალმება კონგრესს. ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ მას მხოლოდ ბრძოლა კი არა, პოლიტიკურად აზროვნებაც შეუძლია ყოველ ქვეყანაში იგი იბრძვის რეფორმიზმის წინაღმდეგ და კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციას ხელს უწყობს. ამ დღეებში ახალგაზრდობას კონგრესი მოსკოვში განიხილავს თავის როლს საერთო რევოლუციონურ მოძრაობაში.

ინტერნალის მუსიკით და ოვაციებით კონგრესის პირველი საზეიმო სხდომა იხურება.

(შემდეგი იქნება)

ბრძოლა ეპიდემიასთან

აზიურ ხოლერის ეპიდემია ჩვენში.

ხოლერის სახით, საბჭოთა საქართველოს მძიმე ეკონომიური კრიზისის დროს, ეწვია ძლიერი მტერი.

ბურჟუაზიულმა ბანაკმა ასი და ათასი ინტრიგანული საშვალებით სცადა მუშათა კლასის მიერ აღებული ხელისუფლების დიდა მიწის პირიდან აღგვა, მაგრამ ამაოდ. ბრძოლა ფრონტზე, სადაც მტერს პირის პირ ხვდებოდა მუშურ-გლეხური მთავრობა, ყოველთვის უკანასკნელის გამარჯვებით თავდებოდა. დღეს საბჭოთა საქართველოში კი ბრძოლაა თვალით უხილავ მოწინააღმდეგე ხოლერის მიკრობებთან. ხოლერის ეპიდემია უმთავრესად მისდევს ღარიბ ღატაკთ, შეძლებული კი მისგან უფრო უზრუნველ ყოფილია, რადგან მათ მეტი ცოდნა და საშვალება აქვთ სუფთათ ცხოვრების და ამა ჭამის. დღეს მუშათა კლასმა, როდესაც ძალა უფლება ხელთ უპყრავს, უნდა გამოიყენოს ყველაფერი რითაც უწინ ბურჟუაზია უხვად სარგებლობდა, და თავს იცავდა ხოლერისაგან; ცოდნა, აქიმობა, სუფთა ბინა და სუფთა საკვები. ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ შესაფერი ნაბიჯი გადადგმულია და ყველა მოქალაქე უნდა დაეხმაროს მას სენის ლიკვიდაციაში.

ამ ეპიდემიას, რომელიც ჩვენს დედა ქალაქის უმთავრესათ ღარიბთა ოჯახებს ავიწროებს, ეწოდება აზიის ხოლერა.

აზიის [illegible], რომ არის კიდევ ხოლერა ჩვენებური, ევროპიული Cholera nostra, რომელიც ენდემიურ ხასიათს [illegible]ულობს, თუმცა ხა[illegible] აზიის ხოლერის მსგავს მოვლენებით, მაგრამ უფრო სუსტი ინტენსივობით.

აზიის ხოლერა პირველად აზიაში გაჩნდა სახელდობ ინდოეთში, ისაა მისი „სამშობლო“, როგორც მას ზოგიერთი მეცნიერი უწოდებს ხოლმე. აზიის ხოლერის ეპიდემია ინდოეთში, მედიცინის ისტორიის მიერ პირველად აღნიშნულია 1817 წელს, შემდეგ წლებში ხოლერა გავრცელდა ევროპის სხვა და სხვა კუთხეში, მაგალითად გერმანიაში 1831 წელს, ინგლისში და საფრანგეთში 1832 წელს, 1846 წელს ხოლერა კვლავ ესტუმრა ევროპას აზიიდან. შემდეგ 1866 წელს იყო გერმანიაში. 1883—1886 წლებში ხოლერა განსაკუთრებით მძვინვარებდა იტალიაში, საფრანგეთში და ისპანიაში. აგრეთვე 1892 წელს ხოლერამ იფეთქა ჰამბურგში, სადაც სამი თვის განმავლობაში ავათ გახდა 18,000 ადამიანი, მოკლა კი 7,600. ჩვენშიდაც 1892 წელს უნდა ეხსომდეს ხალხს მაერ ეგრეთ წოდებული „დიდი ხოლერობა“, მას შემდეგ ჩვენში არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა ხოლერის.

ამნაირად, როგორც ვთქვით, მედიცინის ისტორიაში ხოლერის ეპიდემია პირველად აღნიშნულია 1817 წელს ინდოეთში, საიდანაც ის გავრცელდა ევროპის სხვა და სხვა კუთხეში, მაგრამ მისი გამომწვევი მიკრობი კი არავინ იცოდა 1883 წლამდი, როცა გამოჩენილმა ექსპერიმენტალური მედიცინის მკვლევარმა კოხმა აღმოაჩინა ის ჯერ ეგვიპტეში და შემდეგ ინდოეთში ხოლერით მკვდრების ნაწლავებში.

ხოლერის მიკრობები ფორმით მოგვაგონებენ მოღუნულ რკალს, ან მძიმეს.

ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი ჭახრაკივით დაგრეხილია. ამ მიკრობებს და ერქვათ ფორმის და აღმომჩენის მიხედვით კოხის ხოლერის სპირილები. ზოგი მას ხოლერის ვიბრიონებს უწოდებს, ზოგიც მძიმეებს.

როგორც ყოველივე ცოცხალი არსებისათვის, ისე ხოლერის ვიბრიონებისათვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი არსებობის და გამრავლებისათვის: სითბო, სინედლე და საკვები მასალა. სითბო მათთვის უფრო ხელსაყრელია 30—40 გრადუსი, თუმცა სიცივეშიდაც სცოცხლობენ, მაგრამ შესაფერისად ვერ მრავლდებიან და სწორედ ესაა ერთი მიზეზთაგანი, რომ ხოლერა ზაფხულობით უფრო იკიდებს ფეხს, ხოლერის ვიბრიონებს სინედლე მეტად უწყობს ხელს, სამაგიეროთ, სიმშრალეში ისინი უცბათ იხოცებიან, მჟანგბადი (кислород) ხელს უწყობს მათ გამრავლებას, მაგრამ არც აუცილებელი მასალა მათი არსებობისათვის.

ადამიანის ორგანიზმში ხოლერის ვიბრიონები შეიჭრებიან ხოლმე სხვა და სხვა საშვალებით უმთავრესათ საჭმელ-სასმელთან ერთად. ცნობილია რომ ხოლერა ვრცელდება იქ, სადაც არის ადამიანთა მისვლა-მოსვლა, რაც უარყოფს მის პირიდან გავრცელებას, წინააღმდეგ ჩვენში კარგათ ცნობილი ისპანური სენისა, რომელზედაც განსვენებულმა პროფესორმა უსკოვმა სთქვა: „ისპანიური სენი ვრცელდება ჩქარი მატარებლის სიჩქარით“, რის გამოც ამ სენმა დიდი პანდემიური ხასიათი მიიღო.

მას შემდეგ რაც ხოლერის ვიბრიონები შეიჭრებიან ადამიანის ორგანიზმში სასმელ-საჭმელთან ერთად, ისინი იქ მრავლდებიან იმ შემთხვევაში, თუ იზათაა მათთვის შესაფერი ნიადაგი. ხოლერის ეპიდემიის დროს ბევრი მოქალაქის ნაწლავებში შეიძლება აღმოჩნდეს ხოლერის ვიბრიონები. მაგრამ ხოლერით ავათ ყველა როდი ხდება და თუ ხდება მეტად იოლი ფორმით. ცნობილია რომ თუ კუჭში არის შესაფერი რაოდენობა მარილ მჟავას (соляная кислота, რომელიც ერთ-ერთი კუჭის წვენთაგანია), მაშინ ხოლერის ვიბრიონები ვერ ხარობენ და მალე იხოცებიან. მაგრამ თუ კუჭი აშლილია, მარილ მჟავასი წონასწორობაც დარღვეულია და მაშინ ვიბრიონებიც იოლათ გამრავლდებიან. ამისათვის საჭიროა ხოლერის ეპიდემიის დროს დიდი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადამიანმა უბრალო კუჭის აშლას და მაშინვე შესაფერი საშვალებით აწამლოს. კუჭის აშლას ხელს უწყობს გაუდუღებელი წყალი, სადაც შეიძლება იქნეს ცოცხალი ვიბრიონები, ცივი და უვარგისი საჭმელი, რომელზედაც ხშირათ აჯდება ბუზები, ხილი, მინერალური, და ხილეული წყლები, აგრეთვე სხვა. რაკი ხოლერის ვიბრიონებმა ადამიანის ნაწლავებში ჰპოვა შესაფერი ნიადაგი, ისინი იქ მრავლდებიან და ერთი ან სამი დღის განმავლობაში იწვევენ ხოლერის სიმპტომებს, რომელიც თითქმის ყველასათვის ცნობილია. საინტერესოა პათოლოგიური ანატომიური ცვლილებანი, რომელსაც ხოლერის ვიბრიონები ახდენენ ადამიანის ორგანიზმში. ეს ცვლილებანი გამოიხატება კუჭის და წვრილი ნაწლავების ლორწოიანი გარსის ანთებაში. ლორწოიანი გარსი ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით დაშლილია.

მაგრამ ნაწლავებში ხოლერის ვიბრიონები ძლიერ ღრმათ ვერ ვრცელდებიან, ვერ ნახავთ მათ აგრეთვე ორგანიზმის სხვა ნაწილებში, სამაგიეროთ ისინი მეტად ძლიერი ტოქსინებით სწამლავენ ორგანიზმს. მათი წყალობით იშლება ფუნქცია ჯირკვლების. ნაწლავებიდან სისველე არ შედის ორგანიზმში, რის და ტოქსინების გამოც სისხლში ნაკლებია პლაზმა. სისხლი სქელია და ადამიანის სხეულიც გამშრალია, კანს სავსებით დაკარგული აქვს ელასტიური თვისება. ზოგიერთი კუნთების ტეტანიურათ შეკუმშვა უნდა მიეწეროს ხოლერის ტოქსინებს.

ხოლერა საშინელია თუ მის საწინააღმდეგო ზომებს ადამიანი წინასწარ არ მიიღებს და თავის თავს ასე ვსთქვათ ლატარიაში ჩააგდებს, მაგრამ თუ შესაფერი ზომებია მიღებული, მაშინ ადამიანი მისგან სავსებით დაზღვეულია. საერთო სისუფთავე, ის ზომები, რომელიც ზემოდ იყო ჩამოთვლილი გარდა ამისა აცრა ცხოველის სისხლის პლაზმით, რომელსაც ხელოვნურად აქვს შექმნილი ხოლერის იმუნიტეტი.

აი ხოლერის საწინააღმდეგო საშვალებანი.

პლ. შუშანია.

ხოლერის მსვლელობა თბილისში.

10—11 ივლისის დილის 9 საათამდის ავათ გახდა ხოლერით 30 კაცი.

განაწილება უბნებზე.

1 უბანში—0, 2 უბ.—0, 3 უბ.—0, 4 უბ.—4, 5 უბ.—0, 6 უბ.—0, 7 უბ.—0, 8 უბ.—0, 9 უბ.—2, 10 უბ.—3, 11 უბ.—0, 12 უბ.—0, 13 უბ.—0, გამოურკვეველი 25.

დასკვნა.

ივლისის 10—11 დი ავათ გახდა სულ 34 კაცი, ამათგან ცენტრალურ უბანში ავათ გახდა 9 კაცი—26,5 პროც. გამოურკვეველ უბანში 25 კაცი 73,5 პროც. წინათ ნაჩვენებ ავათმყოფთაგან 10 ივლისს გარდაიცვალა 16 კაცი, გაეწერა 21 კაცი, 9 ივლისს გარდაიცვალა 14 კაცი, გაეწერა—14 კაცი, ვიბრიონები აღმოაჩნდა 3 კაცს

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალეთი.

პროვოკატორთა მუშაობა.

მოსკოვი, 5 ივლისი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მიუხედავათ ოფიციალურ წრეების განცხადებათა, ცნობები ინგლისის სამხედრო მმართველობის მიერ რუსეთის საბჭოთა დელეგაციის დაპატიმრებაზე სტამბოლში, მტკიცდება. უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი ეს ისტორია მოწყობილია ინგლის რუსეთის დამოკიდებულებაში კრიზისის გამოწვევის მიზნით, იმ იმედით, რომ სავაჭრო შეთანხმების საქმე მარცხით გათავდეს. არა გვგონია, ინგლისის მთავრობამ კიერი დაკრას ვალდებულებათა ამ აშკარა დარღვევას და ალბად, გა[illegible]ენება ამ საქმის ინიციატორებისა [illegible]

რუსების დაპატიმრება სტამბოლში.

ბათომი, 13 (ტელ.) სტამბოლიდან ჩამოსულები იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა კოალიციამ სტამბოლში დაპატიმრა 400 რუსი. აქედან 200 გაანთავისუფლეს. დატუსაღება გამოიწვია იმათ, რომ თითქო „ნორდ-პალასში“ აღმოაჩინეს ყუმბარები, თოფები, პატრონები და ხანჯლები. ინგლისელების სიტყვებით, მათ მიერ აღმოჩენილია შეთქმულობა მოკავშირეთა წინაალმდეგ სტამბოლში. დაპატიმრებულთა მეტად უდიერად ეპყრობიან.

პოლონეთი.

გაფიცვა ვარშავაში.

ვარშავა. 14 ივლისი. (რადიო) ვარშავაში დაიწყო ამშენებელ მუშათა [illegible]. გაფიცვას თან ახლავს ზოგიერთ შემთხვევაში ტერორისტული გამოსვლები შტრეიხბრეხერების წინააღმდეგ.

იტალია

სამოქალაქო ომი იტალიაში

რომი. 14 ივლისი. (რადიო). სხვა და სხვა ქალაქების მრავალრიცხოვანმა რაზმებმა ფაშისტებისამ მოახდინეს თავდასხმა ქალ. ტრევისოზე. ქალაქი დაკავებულია სამხედრო წესით, ყველგან გამართულია ყუმბარები. ამ შემთხვევაში ფაშისტებმა მიზანში აიღეს რესპუბლიკანელები და სახალხო კათოლიკური პარტია. ორივე გაზეთი და ამ პარტიების ყველა დაწესებულებანი დაკავებულია. რესპუბლიკანელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს; ორივე მხრით ბევრია დაჭრილები, არიან მოკლულნიც. ფაშისტები დევნიან კომუნისტებსაც, [illegible]

ინგლისი.

თავდასხმა ინგლისის მეფეზე.

მოსკოვი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ სინფეინერებმა მოახდინეს თავდასხმა სამხედრო მატარებელზე, რომელიც ახლდა მეფეს მისი დაბრუნების დროს ბელფასტიდან. მატარებელში იმყოფებოდა 140 ჰუსარი. ამბობენ, რომ მატარებელ ქვეშ ჩადებულ ყუმბარის აფეთქებამ იმსხვერპლა 40 კაცი.

ნორვეგია.

წითელ ახალგაზრდობის კონგრესი.

მოსკოვი. 16 ივლისი. (რადიო). 20 აგვისტოსთვის ნორვეგიის ქალ. ლიდენგამერში იწვევენ სკანდინავეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კონგრესს. კონგრესს დაესწრებიან წარმომადგენლები ნორვეგიის, შვეციის, დანიის და ფინლიანდიისა.

სამარშრუტო მატარებელი პეტროგრადიდან

რუსეთის გაზეთების ცნობით, პეტროგრადიდან გამოვიდა თბილისისაკენ სამარშრუტო მატარებელი 32 ვაგონის შემადგენლობით, ჭურჭლეულობით, ფართლეულით და გალანტერიით. საქონელთან ერთად გამოემგზავრა პეტროგრადის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების აგენტურა, რიცხვით 80 კაცი, რომელსაც დავალებული აქვს, მოაწყოს ამიერ კავკასიაში მუდმივი აპარატი საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და დამზადებისათვის.

ქრონიკა

◆ **სახალხო ბანკი.** ფინანსთა სახალხო კომისარიატში მუშავდება წესდების პროექტი ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკისა. განზრახულია, რომ სახალხო ბანკი (ყოფილი სახელმწიფო ბანკი) ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას.

◆ **გერმანელი კომუნისტი თბილისში.** იტალიური გემით „კლეოპატრა“ სტამბოლიდან ბათომში ჩამოვიდა გერმანულ კომუნისტური პარტიის წევრი დ-რი შტერნი, რომელმაც დიდის გაჭირვებით მიიღო ბათომში გამომგზავრების ნებართვა ინგლისის სამხედრო მმართველობისაგან. 17 ივლისს ამხ. შტერნი ჩამოვიდა თბილისში და ეწვია რევკომის და პარტიის ცეკას წევრებს.

◆ **დახმარება პროფ. ცაგარელს.** საქართველოს რევკომმა 14 ივლისის სხდომაზე დაადგინა აიყვანოს სახელმწიფოს ხარჯზე მოხუცი დაზახურებული პროფესორი ა. ცაგარელი. განათლების კომისარიატს წინადადება მიეცა სისრულეში მოიყვანოს ეს დადგენილება.

◆ **პროდუქტებით სარგებლობის უფლება.** შრომის კომისარიატის კოლეგიამ განიხილა საკითხი, მიეცეთ თუ არა უფლება ქალაქის მიერ გაცემულ სურსათით სარგებლობისა თბილისში სამკურნალოდ ჩამომავალ მუშებს და მოსამსახურეთ, და დაადგინა, რომ საამბულატორიოდ მკურნალობისათვის ჩამოსულ მუშა მოსამსახურეთ [illegible] თო პროდუქტები იმავე წესით, რა წესიც არსებობს სამსახურის გამო მივლინებულ მუშა მოსამსახურეებისათვის.

◆ **საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენცია.** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი შინაგანი საფოსტო სატელეგრაფო კორესპონდენციის ნიხრისა და წესები კორესპონდენციის გაგზავნისა. საქრევკომმა ორივე პროექტი დაამტკიცა.

◆ **პოეზიის აკადემია.** ოთხშაბათს, 20 ივლისს საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში, შესდგება მორიგი სხდომა პოეზიის აკადემიისა. გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „სტეფან მალლარმე“.

◆ **სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასის მოგზაურობა.** სახალხო სახლის მსახიობთა ანსამბლი ნიკო გოცირიძის ხელმძღვანელობით ახლო მომავალში მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად ზემო იმერეთის სოფლებსა და დაბებში. რეპერტუარს შეადგენს განსაკუთრებულად ორიგინალური ნაწარმოებები. სამოგზაურო დასში შედიან: ნ. გოცირიძე, ნიკო [illegible], ნიკო გოძიაშვილი, შალვა გომართელი, კობელი, გ. თაზიშვილი, რ. სალაყაია, მარგარიტა ქელარჯიშვილი, ნიბლია, [illegible] და ქროვეთიშვილი. ადმინისტრატორი [illegible].

ზრუნვა მუშათა ბავშვებზე

საჩუქარი ჩვენს ბავშვებს მოსკოვიდან

6 ივლისს მოსკოვიდან ჩამოვიდა რ. ც. ღ. ქ. წარმომადგენელი და ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის წევრი, ამხ. კორნევი და თან ჩამოიტანა მოსკოვის მიერ საქართველოს განათლების კომისარიატის სახელზე ბავშვებისათვის გამოგზავნილი, ათასი ცალი მშვენივრად შეკერილი ტანსაცმელი.

საბჭოთა რესპუბლიკებში მისი მოგზაურობის მიზანია—შეკრიბოს ცნობები ბავშვთა მდგომარეობის შესახებ, დაათვალიეროს ბაღები, ბავშვთა სახლები, ყოფილი თავშესაფრები, და შემდეგ შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინოს მათ დარიგებით, გამოცდილებით და საქმით. იმაზე წინედ განათლების კომისარიატმა მიიღო მოსკოვიდან პარტია ქაღალდის, წიგნების, საკანცელარიო ნივთებისა და სხ. ყველას კარგად მოეხსენება, მოსკოვი იძლევა არა იმიტომ, რომ ზედმეტი რამ გააჩნია, თვითონ მას ზოგჯერ მეტი უჭირს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მოსკოვი შეჩვეულია, თავისი ავლა-დიდება ხალისით გაუზიაროს სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებს და გლეხებს, რაც, იგულისხმება, განსაკუთრებით ძვირფასია.

მადლობა, დიდი მადლობა ჩვენი ბავშვებისაგან ძვირფას წითელ მოსკოვს.

განათლების კომისარიატის 1-ლი საბჭოთა საბავშვო მოედანი

10 ივლისს, დილის 12 ს., ყოფ. სასახლის ბაღში, რომელიც საქრევკომის დადგენილებით გადაცემულია განათლების სახ. კომისარიატისთვის, უკანასკნელის მიერ გახსნილ იქნა 1 საბჭოთა საბავშვო მოედანი მუშათა ბავშვებისათვის, რომლებსაც ადგენს პროფ. კავშირთა საბჭო. გახსნაზე მოწვეულნი იყვნენ ქალ. თბილისის ყველა მოედნების ბავშვები. სასიამოვნო სანახავი იყო, როგორ დარაზმულად, მხიარულად მიეშურებოდნენ ბაღისაკენ ბავშვები ყოველ მხრიდან წითელი დროშებით და მწყობრი რიგებით. რკინის დიდი ჭიშკარი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მაგრად იყო დაკეტილი მეფური რუსეთის გრაფების და თავადების მიერ, და მდგომარეობის შემდგომი ბატონების, მენშევიკებისაგან,—დილიდანვე ფართოდ იყო გაღებული ძვირფასი პაწია სტუმრებისათვის. შიგნით კი დიდებული ბაღი მორთული იყო დროშებით, პლაკატებით და ლოზუნგებით და თავისი სილამაზით ბავშვებს სიხარულს გვრიდა. ცენტ. მუშ. კლუბს მოეტანა თან თავისი ბაკი ნადუღი წყლით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა 1 საბჭოთა სასადილო და ქუჩის ბავშვების ბაღი მოწყობილი ამხ. ნაზარეტიანის მიერ. ამ გამხიარულებულ ბავშვებს სრულებით არ ეტყობოდათ, რომ ქუჩის ბავშვები იყვნენ და შთაბეჭდილებას ახდენდნენ მეგობრობით, ალერსით შეკავშირებულ ბავშვთა კომანდისას, ამასთან რაც უმთავრესია, მათ ერთგვარი კოლექტიური მიდრეკილება, გაწყობილება ახასიათებდა.

საუზმის მისაღებ ბილეთები 2000-ზე მეტი იყო დარიგებული. ბავშვები მხიარულად გაიფანტნენ ბაღის ხეივნებში და ჯგუფ-ჯგუფად, ხელმძღვანელთა მეთაურობით, თამაშობდნენ, მღეროდნენ, იმღერნენ ორკესტრს და ხოროს, ცეკვაობდნენ. შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ და ღებულობდნენ თავის უბრალო საუზმეს: ჩაის, პურს და ყველს. ბაღში უკრავდა სამხედრო ორკესტრი. ნაშუადღევის სამი საათისათვის ნასიამოვნები ბავშვები მწყობრად დაიშალნენ.

მეფის მოადგილეთა ბაღი, სადაც არც ისე ბევრი ხანია, რაც დასეირნობდნენ ბურჟუაზიის ლაქიები—მენშევიკ ჰომპადურები—იქცა მშრომელთა და ღარიბთა ბავშვების ბაღად. ამას ჩადენა შეეძლო მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, საბჭოთა ხელისუფლებას.

თბილისის მუშების ბავშვთა გამგზავრება აგარაკ-ახალშენში

სახალხო განათლების კომისარიატმა უკვე მოათავა კოჯორში და მანგლისში აგარაკ ახალშენების მოწყობა თბილისის მუშების ბავშვთათვის. აგარაკები შაბათობის შემწეობით დასუფთავებული, შეკეთებული და კარგათ მოწყობილია. იქ უკვე გადაზიდულია სურსათი, ლოგინი, საწოლის მოწყობილობა. უკვე გაემგზავრნენ ხელმძღვანელები და მოსამსახურენი. დღეს 4 საათზე დანიშნულია 300 ახალგაზრდა მოაგარაკეთა გამგზავრება. საქართვ. რევკომის ბრძანებით ბავშვების გადასაზიდათ მობილიზაცია უყვეს ყველა კომისარიატების, საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებათა ავტომობილებს. ბავშვები თავს მოიყრიან მუშათა სასახლესთან რუსთაველის პროსპექტზე.

პარტიული ცხოვრება

16 ივლისს [illegible] სტამბაში ადგილობრივი კომაჩეიკის მიერ მოწყობილ იქნა შაბათობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ამხანაგი. ალექსანდრე სერიხი. მბეჭდავი, საგანგებო კომისიის გზათა ტრანსპორტის განყოფილების ხაზის აგენტი.

ამხ. სერიხი შარშან დაჭერილი იყო მენშევიკების მთავრობის მიერ კომუნისტურ პარტიის წევრობისათვის და გაგზავნილი ბაქოში. მისი წასვლის შემდეგ აღნიშნულ სტამბაში „თვით მღები“ მანქანა გაფუჭდა და დღემდე არავის არ შეეძლებია მისი გაკეთება. ამხ. სერიხი შაბათობას 8 საათის განმავლობაში შეუწყვეტლად მუშაობდა ამ მანქანის შეკეთებისათვის და „თვით-მღები“ მანქანა გააკეთა კიდეც რომლითაც წარმოების გადიდებას ხელი შეუწყო. ადგილობრივი კომაჩეიკის შუამავლობით და მბეჭდავთა კავშირთან კომფრაქციული ბიუროს დამტკიცებით დადგენილ იქნა რომ სახელი ამხ. ა. სერიხისა შეტანილი იქნას მბეჭდავთა კავშირის წითელ დაფაზე.

ნ.

—

ლაგოდეხის რაიონი (სიღ. მაზ.)

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ძალაუფლება მოეწყო ლაგოდეხის რაიონში, საქმე კარგად მიდის.

ლაგოდეხი პირველი მოწმეა, აზერბეიჯანის შემდეგ, საბჭოთა ძალაუფლებისა.

მან პირველათ მიეგება გაშლილი გული საბჭოთა მთავრობას, მან პირველად გაუწოდა დაკორძებული ხელი მუშურ-გლეხურ მთავრობას.

მან პირველად უძღვნა სალამი წითელ ჯარს. საბჭოთა ძალა უფლება აქ 17 თებერვლიდან სუფევს, მაგრამ ტეხნიკური დაბრკოლებების გამო 15 მარტამდე შეჩერებული იყო მუშაობა. 17 თებერვალს ლაგოდეხის რევკომის თავმჯდომარედ იყო ამხ. ხირსელი, რომელიც შემდეგ სიღნაღში გადაიყვანეს.

15 მარტიდან აქაური კომაჩეიკის წევრები განაგრძობენ დაულალავ მუშაობას.

უკვე დაარსდა ლაგოდეხის რაიონში კომაჩეიკა: ბაისუბნის კომაჩეიკა, თელიანის, ახალგორის, ფონის, პატარა ზემოფონის, ხეჩილის, ეშმაკისეულის, [illegible]ოორგეთის, აფენის, ლელიანის, [illegible]უკანის, ნაწისქვილარის, ხიზ[illegible]ს, არიშფერანის, ბოლკვს, ქვემო [illegible]ლკის, ყარსუბანის, ბოლოკიანის, გორდასუბნის და მახაილოვკის კომაჩეიკები.

[illegible] კომაჩეიკის წევრების რიცხვი არის სამას ოცდა ათი. ამათ შორის იქნება ასამდე კანდიდატი და [illegible]ნი, კი ძველი მუშაკები არიან.

აქაური ადმინისტრატიული წესებიც კარგათაა მოწყობილი.

ლავრენტი ჯაბლაძე.

—

სოფ. ნასაკოვი.

სოფ. ნასაკოვში კომაჩეიკის მუშაობა ჩინებულად მიმდინარეობს. კვირაში ერთხელ იმართება კრება უკლებლივ. ყველა კომაჩეიკის წევრები და კანდიდატები ერთგულად კიდებენ ხელს პარტიულ მუშაობას. აქ არსებობს კომუნა შემდგარი ათი ამხანაგისგან, რომელიც სრულიად მუშაობს, რათა ამით დაუმტკიცოს ხალხს, რომ კომუნალურად მუშაობა უფრო ხელსაყრელია მუშა ხალხისთვის, ვინემ დანაკუწება და დანაწილება და კერძო საკუთრებისაკენ ლტოლვა. კომაჩეიკის ხელმძღვანელობით იმართება შაბათობა. განსაკუთრებით შაბათობა იქნა მოწყობილი ა. წ. 9 ივლისს. გათენდა, თუ არა ყოველ კუთხიდან მოდიან ჯგუფ-ჯგუფად თოხებით შეიარაღებული კომუნისტები, ერთმანეთის შეხვედრისთანავე ეკითხებიან: „აბა ბიჭებო, ვისია, რომელი ქვრივის ყანა გავთოხნოთ“ და ერთად მწყობრად, სიმღერით მიეშურებიან ქვრივის ყანისაკენ კომაჩეიკის ორგანიზატორის მითითებით. „ჰოპუნა და კაჟინით მიდიან ქვრივის ყანასა“. მშვენიერი, სანატრელი სანახავი იყო ეს სურათი, რაღაც აუწერელ აღტაცებაში მოიყვანდა ადამიანს და ზოგიერთები უპარტიოც გაერია ამ დიდ კეთილ საქმეში. ნუ თუ ამის შემხედვარე ურწმუნო თომები არ დარწმუნდებიან, რომ კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც საქმით იცავს მუშის ინტერესს და არა უბრალო ლაყბობით. ასე და ამ რიგათ ნასაკოვის კომაჩეიკა ღირსეულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

რ. კუპუხიძე.

—

სოფ. წყიმი.

ამა 1921 წ. 27-ივნისს სოფ. წყიმში მოხდა ადგილობრივი კომ პარტიის სამივე იაჩეიკების წევრთა და კანდიდატთა არაჩვეულებრივი კრება. კრებას დაესწრო წევრთა და კანდიდატთა მთელი შემადგენლობა. კრებამ ერთ ხმად აირჩია თავმჯდომარეთ ამხ. ივანე ჯაიანი და მდივნათ აპოლონ რატიანი. კრებას დაესწრო სენაკის სამაზრო [illegible] თავმჯდომარე ამხანაგი [illegible] და სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორი ამხ. ალექსანდრე ოჩიგავა. ამხ. თავმჯდომარემ კრება გახსნა დილის 10 საათზე; დღის წესრიგში იქნა შეტანილი შემდეგი საკითხები 1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე 2 პარტიის დისციპლინა.

პირველი საკითხის შესახებ სიტყვა მიეცა ამხ. მამულიას. ამხ. მამულია შეეხო შინაურ და გარეშე ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს და თავისი შინაარსიანი მოხსენებით, კრებაში მოახდინა დიდი შთაბეჭდილება.

მეორე საკითხის, პარტიის დისციპლინის შესახებაც ილაპარაკა ამხ. მამულიამ. მან ახსნა განმარტა თუ რა არის დისციპლინა და რისი მოვალეა პარტია: ამის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

ჩვენ წყიმის კომ პარტიის წევრნი ფიცსა ვსდებთ საერთაშორისო პარტიის წინაშე, რომ დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას შინაური და გარეშე მტრებისაგან უკანასკნელი სისხლის წვეთამდე. ჩვენ წყიმის თემის კომუნისტები მზადა ვართ, ყოველ მოთხოვნილებას იარაღით ხელში თავი შევსწიროთ კომუნისტური იდეას.

გაუმარჯოს მესამე საერთაშორისო კომუნისტურ ინტერნაციონალს,
გაუმარჯოს სოციალიზმს.

თ. ჯალაღანია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 41

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა.

პირდაპირი მავთულით სარგებლობის წესის შესახებ.

1. პირდაპირი მავთულით სარგებლობის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, მის პირად მდივანს, მთავრობის საქმეთა მმართველს, რევოლ. კომიტეტის მდივანს, სახალხო კომისრებს, საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ან მათ რწმუნებულთ, უკეთუ ისინი წარმოადგენენ სათანადო მანდატს ყოველ თვითეულ შემთხვევისათვის.

აგრეთვე მაზრის რევკომის ან [illegible]მასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეთ. უკანასკნელ[illegible] თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან თვითონ პირადათ აწარმოონ მოლაპარაკება.

სხვა შემთხვევაში, როდესაც საჭიროება მოითხოვს—მიეცეს ვისმე მეორე პირს უფლება პირდაპირი მავთულით სარგებლობისა, ამის შესახებ დასტური მთავრობის თავმჯდომარემ უნდა დართოს.

შენიშვნა: სამხედრო უწყების დაწესებულებათა მიერ პირდაპირი მავთულით სარგებლობის წესი ცალკე იქნეს შემუშავებული.

2. ყოველ თვითეულ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა პირდაპირი მავთულით ლაპარაკი, მავთულის გამგეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ ორი საათით მაინც ადრე და ისიც თუ რომელ დაწესებულებიდან ვინ უნდა იქნეს მოწვეული აპარატთან, რისთვისაც დაინიშნება განსაზღვრული დრო.

შენიშვნა: თითოჯერ ლაპარაკი უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს ოცდაათი წუთისა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.
ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.
1921 წ. ივლისის 13.
ტფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

სხვა და სხვა

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო იწვევს გამოცდილ პირთ სტატისტიკის ინსპექტორის თანამდებობაზე. ცნობების მიღება შეიძლება ც. ს. ს. საინსტრ.-საინფ. გ-ბაში (ბრონის ქ. № 4).

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5-58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9-52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

შრომის დაცვის კონფერენცია

20 ივლისს საღამოს 6 საათზე კინო თეატრ „მინიონის“ შენობაში მოწვეულია კონფერენცია ქარხნის კომიტეტებისა და ადგილობრივ კომიტეტებისა შრომის დაცვის კომისიებთან ერთად.

კონფერენციის შემდეგ ნაჩვენები იქნება ორი სურათი: 1) „ბუზების გაწყვეტა“. 2) „მალარიასთან ბრძოლა“. ფაბრიკ. კომის, ქარხ-კომის და ადგილობრივ კომიტეტების და აგრეთვე შრომის დაცვის კომისიების დასწრება სავალდებულოა.

---

5 აგვისტოს 1921 წ. თბილისში სახალხო გამოკვებისა და საზოგადო საცხოვრებელ მომუშავეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა იწვევს I საერთო ყრილობას საქართველოს მასშტაბით, რომელზედაც განყოფილებანი; ქვეგანყოფილებანი და სექციები ვალდებულნი არიან გამოგზავნონ თავისი დელეგატები. ნორმა 10—50 ერთი დელეგატი. ვსთხოვთ ბიუროს და პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სეკრეტარიატებს აღმოგვიჩინონ დახმარება მომავალ საერთო ყრილობაზე არჩევნების მოხდენის დროს, რადგანაც არ არის შესაძლებლობა საქართველოს ყოველ კუთხეში გავგზავნოთ ინსტრუქტორები. იმ ადგილებში, სადაც რკინის გზა არ არის, ჩვენ გავგზავნეთ ორი ინსტრუქტორი და რკინის გზის ლიანდაგის ხაზზე არჩევნები გატარებულ იქნება ინსტრუქტორების მიერ.

ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმი.

განაწილება ლექციებისა ცენტრალურ პარტიულ სკოლაში 20-დან 31 ივლისამდე.

6. „ „ განაწილების დარგში	2 ს. 20	„	ა. ერქომაიშვილი
7. ბანკები და ფინანსები საბჭოთა წყობილების დროს	2 ს. 21	[illegible]	[illegible]
8. სახალხო განათლება	2 ს. 22	[illegible]	გ. [illegible]
9. კომ. პარტ. პროგრამა სამხედრო საკითხში	2 ს. 23	„	შ. ელიავა
	დილის 10 საათიდან)		
10. პროფესიონალური კავშ. დამათი როლი	2 ს. 29	ივლისი	გ. ნუცუბიძე
11. ეროვნული საკითხი	2 ს. 25	„	ს. ჩიხლაძე
12. პროლეტარული სასამართლო	2 ს. 26	„	ს. ქავთარაძე
13. შრომის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 ს. 27	„	ს. თოდრია
14. ხალხის ჯანმრთელობის დაცვა . . .	2 ს. 28	„	მ. კუპრაძე
15. სარწმუნოება და ეკლესია	2 ს. 29	„	რ. კალაძე
16. პარტიული მუშაობა სოფლად . . .	2 ს. 30	„	ფ. მახარაძე
17. ისტორიული მატერიალიზმი	4 ს. 31	„	მ. ორახელაშვილი

(ლექციები იკითხება ყოველდღიურათ საღამოს 5 საათიდან).

ახალგაზრდა კომუნისტთა ყრილობა

ს. ა. კ. კ. ც. კ. აუწყებს ს. ა. კ. კ-რის ყველა ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს მოწვეულ იქნება საქართველოს ა. კ. კ-რის ყრილობა დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი. 2. მოხსენება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 2 ე კონგრესის შესახებ. 3. ც. კ.-ის მოხსენება. 4. საორგანიზაციო აღმშენებლობის [illegible]. 5. სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა. 6. რ. [illegible] ყრილობა. 7. სასკოლო მუშაობა. 8. ც. კ.-ის არჩევნები.

ს. ა. კ. კ. ც. კ.

ჟურნალი „ლახვარი“

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სამმ. ბეჭდვით განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 15,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრონშტადტის ქ. № 4